16-ს აპრილს წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

მწყემსი

№ 8.

ორ-კვირეული გამოცემა.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мъстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ყვირილა,

15 აპრილს, 1885 წელსა.

ჩითელი სლავიანთა ხალხი, მათთან რუსეთი და რუსეთის სახელმწიფოს მართლ-მადიდებელნი ხალხნი დიდის ამბით ეგებებოდნენ სლავიანთა განმანათლებელის წმიდა მეთოდის გარდაცვალებიდამ ათასის წლის სადღესასწაულოდ ამა თვის წასრულს ექვს. ვინც გაზეთებს თვალ-ყურს ადევნებდა, სწორეთ გაკვირდებოდა იმ მომზადებაებით, რომლებიც ზოგიერთი რუსეთის ქალაქებში ჰქონდათ ამ დღისათვის. მართლაც, არ დარჩენილა თითქმის ერთი ეკკლესიაც რუსეთის სახელმწიფოში, რომ ჯეროვნად არ ედღესასწაულებიოს ამ წმიდანების ნეტარი განსვენება. სწორეთ ამ თვის ექვს აპრილს შესრულდა ათასი წელი წმიდა მეთოდის ნეტარი განსვენებიდამ. ათასი წელიწადი დიდი დროა. წმიდანები, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას, მრავალნი არიან; მაგრამ მათი გარდაცვალების, ანუ წამების მოხსენების დღენი ასე არ უდღესასწაულებიათ ჯერეთ, როგორც იდღესასწაულეს კირილეს და მეთოდის ნეტარი განსვენების დღე...

ძით დაიმსახურეს ამ წმიდანებმა ხალხის ესეთი სიყვარული და პატივი და რა არის მიზეზი, რომ ასე ერთგულობით, ერთსულობით და დიდის პატივით მოიგონებენ ამ წმიდათა ნეტარ განსვენებას და იმასაც ათასი წლის შემდეგ? ამ წმიდანებს ხალხის წინ მიუძღვისთ ქრისტიანობის გავრცელებას გარდა ერთი რამ ღვაწლი, რომელიც ხალხის გულში არასოდეს არ ამოითხვრება და საუკუნო მოსახსენებლად დარჩება. რა ღვაწლი მიუძღვისთ ამ წმიდანებს ამისთანა? ეს არის სლავიანთა სამშობლო ენის აღდგენა და გაძლიერება. ქრისტეს სარწმუნოებას კირილეს და მეთოდის წინეთაც უქადაგებდნენ სლავიანების წარმართ ხალხთა, მაგრამ ამ ქადაგებამ არ მოიტანა ნაყოფი. ლათინელნი მქადაგებელნი უქადაგებდნენ ლათინურ ენაზე და ითხოვდენ, რომ ლათინურ ენაზე ელოცათ, ეწირათ და ესწავლათ. ბერძნის მქადაგებელნი უქადაგებდნენ ბერძნულ ენაზე და ითხოვდნენ ბერძნულად ელოცათ, ეწირათ და ესწავლათ. პაპისაგან გამოგზავნილნი ნემცის მქადაგებელნი ითხოვდნენ, რომ ნემეცურ ენაზე ელოცათ, ეწირათ და ელაპარაკნათ. ყველა ეს მქადაგებელნი თითქმის შეურაცჰყოფდნენ სლავიანთ ხალხთა დედა ენას. იმათის აზრით, სლავიანური ენა იყო ველური, ბარბაროსული ენა. ეს მქადაგებელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ რაცხდნენ ღირსად სლავიანურ ენას, რომ ამ ენაზე წირვა-ლოცვა აღსრულებულიყო. რამდენად შეწუხებულნი იყვნენ სლავიანები მათი ღვიძლი ენის შეურაცხყოფისათვის ადვილი წარმოსადგენია ყველასთვის. არ მოიკიდა ფესვი ქრისტეს სწავლამ ამ მქადაგებლების დროს სლავიანთა შორის და ისინი ისევ წარმართებად შთებოდნენ.

მეცხრე საუკუნეში ერთ ქალაქ სოლუნში სცხოვრებდნენ ერთი ცოლ-ქმარი; კაცს ერქვა ლევი და ცოლს მარია. ეს ცოლ-ქმარნი ძლიერ მიღებულნი იყვნენ საბერძნეთის ხელმწიფის სასახლეში. შთამომავლობითაც ისინი იყვნენ მაღალი წოდებისანი. ორი ძენი ლევისა აღზრდილი იყვნენ სასწავლებელში და სწავლის შესრულების შემდეგ უნდა შესულიყვნენ დიდ სახელმწიფო სამსახურში; მეთოდი მართლა კიდეც იყო დანიშნული ერთ სლავიანთა ქალაქის მაკედონიის მართველად და კირილე მიწოდებული იყო ხელმწიფის სასახლეში, სწავლის გასაგრძელებლად მცირე წლოვან მეფე მიხეილ მესამესთან, რომ მეფეს კირილეს მიხედვით უფრო ბეჯითად ესწავლა. როდესაც გაათავა სწავლა, დაუპირეს მას დიდი ოჯახის და მდიდრის ქალის შერთვა. მაგრამ მისი სული სულ სხვა ბედნიერებას მოელოდა. ეს ბედნიერება იყო ღვთის და მოყვასის სამსახური. შემდეგ აკურთხეს მღვდლად და დანიშნეს წმიდა სოფიის შესანიშნავ წიგნთ საცავის გამგედ და მმართველად. კირილეს სურდა, რომ ყოველივე ამ წუთის სოფლის საქმეებთან გაეწყვიტა კავშირი და ამისათვის გაიპარა და ერთ მონასტერში შავიდა; მაგრამ მონახეს და მოიყვანეს ისევე თავის ადგილას და დანიშნეს სასწავლებელში ფილოსოფიის მასწავლებლად. ამ დროს, მეთოდიც ბერათ შედგა და დაემკვიდრა ერთ მონასტერში. აი ამ დროს, როდესაც სლავიანების ქვეყანაში სხვა-და-სხვა უცხო ენაზე მქადაგებლები ცდილობდნენ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას, გამოცხადდენ კირილე და მეთოდი ქრისტეს სარწმუნოების გასავრცელებლად და მათ სლავიანურ დედა-ენაზე დაიწყეს ქადაგება და სწავლება ქრისტეს სჯულისა.

ამ გაჭირებულ დროში განათლებულნი წმიდანი კირილე და მეთოდი გამოცხადებიან სლავიანთა ქვეყანაში, შეადგენენ სლავიანურ ენაზე ანბანს, გადათარგმნიან ბერძნული ენიდამ სლავიანურ ენაზე სამღრთო წიგნებს და ამ სახით მისცემენ საშუალებას სლავიანთა ხალხს თავის ღვიძლ დედა ენაზე ილოცონ, მოისმინონ წირვა და ისწავლონ. ქრისტეს სარწმუნოება, რომელსაც ეს წმიდანები უქადაგებდნენ ხალხს, მსწრაფლად გავრცელდა. ხალხი, რომელსაც წირვა-ლოცვა ესმოდა და თავის დედა-ენაზე ლოცვილობდა, სტკბებოდა, აქებდა ღმერთსა და ჰმადლობდა თავიანთ განმანათლებელთ კირილეს და მეთოდის.

დიდი არის ღვაწლი ამ ორ წმიდათა. ისინი შეეწიენ სლავიანთ ხალხთა, რომ დედა-ენა არ დაჰკარგოდათ და ღმერთი ელოცათ ღვიძლ ენაზე. იმათი წყალობით გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება სლავიანთ ხალხთა შორის და ისინი არიან მიზეზნი, რომ დღეს მართლ მადიდებლობას აღიარებს მთელი სლავიანობა.

ყოველი ხალხისათვის უძვირფასეს კუთვნილებას შეადგენს მისი დედა ენა. არაფერი არ შეაწუხებს კაცის გულს ისე, როგორც მისი ღვიძლი, დედა-ენის შეურაცხყოფა. არაფერი არ ამხიარულებს ხალხს ისე, როგორც მისი დედა-ენის აღდგენა, დედა-ენაზე ლოცვა და ღვთის ვედრება. აი სწორეთ ამით აიხსნება ასე აღტაცებითი დღესასწაულობა წმიდათა კირილე და მეთოდის ნეტარი განსვენების მოგონებისა ათასი წლის გასვლის შემდეგ...

როგორ ჯობს?

ქ. სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა სიმრავლისა გამო აღძრულია კითხვა, რომელზედაც ოთხი სხვა და სხვა მოსაზრებაა მობმული: ა) ან უნდა გაფართოვდეს ის ეკკლესია, რომელიც ძველ ნანგრევ სობოროზეა მიშენებული და რომელიც ვერ იტევს ახლანდელ რიცხვს შეგირდებისას; დანარჩენი კი ძველებურათ უნდა დარჩეს; ბ) ან აშენდეს ცალკე სასწავლებლის მახლობლად ერთი პატარა შენობა, რომელშიაც უნდა მოთავსდეს სასწავლებლის ეკკლესიაც და სამზადი კლასებიც; გ) ან გაიყოს სასწავლებელი ორათ: პარალელური კლასები გადავიდეს სტრუიცკისსეულ სახლებში და ნორმალური თავის სამზად კლასებიანად დარჩეს თავისუფლად; ან და დ) მხოლოდ ეს სამზადი კლასები გადავიდეს სტრუიცკისსეულ სახლებში და დანარჩენი ძველებურად დარჩეს.

ჩვენის აზრით ეს უკანასკნელი მოსაზრება ყველაზე უფრო საკეთილო იქმნება და აი რისთვის: ძველი ეკკლესიის გაფართოვება მაგდენად საჭირო აღარ არის. სასწავლებლის მახლობლად შენდება, და საცაა გათავდება კიდეც, ახალი წმიდის გიორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გის ეკკლესია, საცა რამდენიმე ნაწილს შაგირდებისას შეეძლება სიარული. გარდა ამისა დიდი ნაწილი შაგირდებისა გორაზე როდი ცხოვრობენ, არამედ გაფანტულია მთელ ქალაქში. ამ შაგირდებმა უნდა იარონ, რომელიც რომელს ემხრობა, იმ ეკკლესიაზედ. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ არხიტექტორის გამოანგარიშებით ძველი ეკკლესიის გაფართოებას უნდება 10,000 (ათი ათას მანეთამდე და ამდენი ფული უსაჭიროეს საგანს რომ მოხმარდეს, ის ჯობია). თუ ოდესმე სასწავლებელი ორათ გაიყო, ან სამზადი კლასები მოშორდა, მაშინ ხომ ეს ფული წყალში გადაყრილათ ჩაითვლება.

სასწავლებლის მახლობლად რომ ცალკე შენობა აშენდეს, ესეც ჩანთქავს რამდენიმე ათას მანათს თავიდანვე და მერმე ყოველ წლივ შენობა რემონტს მოითხოვს. ის არ ჯობია, რომ ეს ფულები უსაჭიროეს საგანს მოხმარდეს? თუ ვიქონიებთ სახეში ახალ წმიდის გიორგის ეკკლესიას და თუ ამა'თანავე სასწავლებელსაც ეკკლესია ახალი ექმნა, მაშინ ეს ეკკლესია გაუქმებული დარჩება. სადაა გორაზედ იმოდენი ბცხოვრებლები, რომ იქაც იარონ და აქაც. ახლა კიდევ ახალი ხიდი გაკეთდა და იმიტომ მცხოვრებლებიც გაღმა ეკკლესიებზე დაიწყებენ სიარულს და სასწავლებლის ეკკლესიაში ხალვათობა იქმნება. სასწავლებელი რომ ორათ გაიყოს, ამისი მომხრენი ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტანი არიან, რადგან ეს გარემოება მოითხოვს ახალ ზედამხედველს, ახალ თანაშემწეს, ახალ ხარჯს, და ახალ ნება-რთვას მთავრობის მხრით.

მეოთხე მოსაზრების, ი. ე. სამზადი კლასების სტრუიცკის სეულ სახლებში გადატანის წინააღმდეგ ორი აზრი არის: „რომ ის უბანი, ქუთაისისა, საცა ეს სახლებია, ნესტიანი ადგილი არისო. ბ) სასწავლებლის მთავრობას არ შეუძლია ორ ერთმანეთზე დაშორებულ სკოლას თვალ ყური ადევნოს.

ეს ორივე საბუთი ჩვენ სუსტად მიგვაჩნია. ცოდვა არის თქვას კაცმა, რომ ქუთაისში, რომელიც სამკურნალო პუნკტად არის დასახელებული, თავის-თავად სადმე ცუდი ადგილი იყოს, თუნდაც ბალახვანში. ეს მეტის-მეტი სიწმინდეა, რომელმაც ტრაპიზონი დააქცია. პირ-იქით რაც დიდ-კაცობაა, სულ ამ ადგილს ეტანება. ახლაც შეიძინა აქ ერთმა მდიდარმა კაცმა ძვირფასი მამული.

ისიც უსაფუძვლო აზრია, ვითომც სასწავლებლის მთავრობამ ვერ შესძლოს იქაც თვალ ყურის დევნება. მართალია კი, რომ თუ ახლანდელი წყობილება იქნა, მაშინ ძნელი იქმნება, მაგრამ ცოტა რამ უნდა მოემატოს. სამზადი კლასის მასწავლებელნი, რომელთა რიცხვი 7—8 არის, იკისრებენ ამ სკოლის თამდგურობას მარიგად და თვითონაც ახლო დაიწყებენ ცხოვრებას. (იქ პანსიონი არ იქმნება და არც საჭიროა, რომ სამზადი კლასების შეგირდთაგანი მიიღონ ხოლმე სასწავლებლის პანსიონში.—40—50 შეგირდი, რომელნიც პანსიონს შეადგენს, ღარიბთა და კარგთაგანი თვით სასწავლებელშიაც მოიპოვება.) თავდგმურობის მოკისრე მასწავლებელთათვის საკმაო იქმნება სასყიდლად ხოლოდ წლიური სარგებელი იმ ფულისა, რომელიც ჩვენის პროექტის წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაიხარჯოს. ზედამხედველის და მისის თანაშემწისაგან სკოლის დათვალიერება საკმაო იქმნება მხოლოდ ხან-და-ხან, როცა ისინი თვისის კერძო საქმისთვის ქალაქში გავლენ ხოლმე, ასე ვსთქვათ კვირაში ერთჯელ-ორჯელ. თუ მაინც-და-მაინც მათაც რომ დაენიშნოთ ფაეტონის ფული, არც ის იქმნება ურიგობა.

ახლა ეს გავსინჯოთ, თუ რამდენი კაი მხარე აქვს სტრუიცკის სეულ სახლებში სამზადი კლასების გადატანას: შეგირდების რიცხვი სასწავლებელში შეთხელდება და მოიტანს დიდ სარგებლობას ეკონომიურის, გიგიენური და ზნეობითი მხრითაც. ეკონომიურის მხრით მეთქი, იმიტომ რომ მოსწავლეების მშობლები ყოველთვის ცდილობენ, რომ შვილები სასწავლებლის ახლო-მახლო დააყენონ. გორაზე მცხოვრებლები ცოტაა და რაცაა, ისინიც უმეტეს ნაწილად ღარიბები არიან; ამიტომ შაგირდებს ინახვენ ღარიბულად და ცუდ სახლებში იმავე საფასოდ, რომლითაც გაღმა ქალაქში უფრო კარგად შეეძლებოდათ ცხოვრება. იქ ახლაც ბევრი შაგირდი ცხოვრობს და მაშინ უფრო ბევრი იცხოვრებდა.

ჰიგიენურის მხრით იმიტომ, რომ ბევრი სულის შეჯგუფვა, ვინ არ იცის, რომ ჰაერს აფუჭებს და სწამლავს, ვსთქვათ, თუნდ ეკკლესიაში დგომის დროს.

ზნეობრივის მხრით კიდევ იმიტომ, რომ, როცა ცოტა შეგირდებია ერთად, იმათზედ თვალ-ყურის ჭერა უფრო ადვილია. შაგირდებიც, ნებით თუ უნებურად, უფრო შეძლებულ და კაი ოჯახებში იცხოვრებენ, საერო სკოლების შაგირდებთან მიმოხვედრა ექმნებათ, ზრდილობას შეეჩვევიან და საზოგადოებაში მიხრა-მოხრას, რასაც ასე უწუნებენ სემინარიელს. გარდა ამისა ვიცით, რომ სასულიერო სკოლის შაგირდს აბრკოლებს სხვა სასწავლებლებში შესვლის დროს რუსული ენის ცუდ-უბნობა და გაჭირებით ლაპარაკი, თუმც ცოდნით სხვებზე ნაკ-

ლებ არ იციან. ამ მხრითაც შიგ ქალაქში ცხოვრება სამზადი კლასის შეგირდს ლაპარაკში გაწაფავს და შემდეგში სწავლა გაუადვილდება.

წასასრულ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მომავალში, რა-კი სემინარიელი მღვდლების რიცხვი გავრცელდება სოფლებში, მას მოჰყვება სამრევლო სკოლების გამრავლება; სახალხო სკოლების რიცხვი თავის-თავად მატულობს, საოსტატო სემინარიაში გაზდილი მასწავლებელნი სოფლებში მრავლდებიან და ამიტომ შეიძლება, რომ სამღვდელოებამ ოდესმე საჭიროდ დაინახოს სამზადი კლასების მთლად დადახურვა- ან კი რა საჭირო იქმნება მღვდლისთვის აქ ორ ნაირი ხარჯის გაწევა, თუ მას სოფელშივე შეეძლება შვილის მომზადება ამასთანავე იმედი რად უნდა გადეიწყვიტოდ, იქმნება ოდესმე სემინარია მოგვესწროს. მაშინ სამღვდელოებას არ შეეძლება სამ ნაირი ხარჯის გადახდა. სამზად კლასებს დახურავს და სტრუიეკისეული სახლები სემინარიას დასჭირდება. მანამდის კი საქმეს რათ ვიჭირვებთ ამ სიცოწროვისა გამო და რათ არ გადავიტანთ სამზად კლასებს სტრუიეკის სეულს სახლებში, რომელიც შემკულია საკუთარის ეკკლესიით, მშვენიერის ბაღით და სხვა დოვლათით. ამას ეჭვირება კარგად აწონ-დაწონვა საქმისა და მოფიქრება სამღვდელოების მხრით. *)

ვ. კ.

ოარიოდე სიტყვა სამრევლო-საეკკლესიო სკოლებზე.

ზაზეთებშიაც ვკითხულობთ და სიტყვიერადაც გვესმის, რომ იმერეთის ეპარქიის თითოეულ სამრევლოში, სადაც სახალხო სკოლა არ არსებობს, საეკკლესიო-სამრევლო სკოლა უნდა დაარსდესო და ამ სკოლების მართვა და წარმოება ეკკლესიის კრებულთ უნდა იკისრონო. ამ ხმამ, მართალი მოგახსენოთ, კაი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა საეკკლესიო მოსამსახურე პირებზე. ყველა სამღვდელო პირში დადადა ენერგია ასე, რომ მცოდნე და უცოდინარი, სწავლული და უსწავლელი პედაგოგობის ასპარეზზე გამოსვლას აპირებენ. ყველას თავში საეკკლესიო სამრევლო სკოლების გახსნის სურვილი ებადება და ყველა ითხოვს სკოლის გახსნის ნება-რთვას ყოველად სამღვდელო ბაბრიელისაგან. მაგრამ ამ დიდი და ფრიად კეთილი საქმისათვის ერთი სურვილი საკმაო არ არის, თუ მასთან კაცი მასწავლებლობისთვის ცოტა მაინც მომზადებული არ არის. ამიტომ, სანამ საქმეს შეუდგებოდეთ, საჭიროა მოვიფიქროთ და შემდეგი კითხვები მივსცეთ ჩვენს თავსა: რა არის სკოლა, რაუნდა სკოლას და რას მოითხოვს იგი ჩვენგან და ან ყველას შეგვიძლია მისი მართვა-წარმოება, თუარა? ასეთი მოფიქრება და დაკვირვება მით უმეტეს საჭიროა, რომ სკოლის საქმე სახუმრო არ არის. ამ თავით რომ სამრევლო სკოლებში სწავლის საქმე ცუდათ წავიდეს, მთლათ დაეკარგებათ სამრევლო სკოლებს საზოგადოების თვალში მნიშვნელობა და უმაღლესი მთავრობის მოლოდინსაც ვერ გავამართლებთ. ამით მე ის არმინდა ვსთქვა, რომ არავის ჩვენთაგანს არ შეუძლია სამრევლო სკოლებში სწავლება მეთქი, არა; ჩვენი სამღვდელოების უმეტესი ნაწილი ისეა მომზადებული, რომ ამ სკოლებით დიდ სარგებლობას მოუტანენ ხალხს, მაგრამ საქმის დაწყებამდე მაინც საჭიროა მოფიქრება.

სამრევლო სკოლების მართვა უწინ სამღვდელოებას ჰქონდა მინდობილი; მაგრამ ზოგიერთი სამრევლო სკოლების გამგედ ისეთი პირნი იყვნენ, რომელთაც სწავლების არა გაეგებოდათ რა. თუმცა ამასთანავე მრავალ სამრევლო სკოლებში მაშინაც და ზოგან ეხლაც საქმე კარგათ მიდიოდა და მიდის და ხალხიც უფრო სამრევლო სკოლებში აბარებდა და აბარებს შვილებსა, მაგრამ ზოგიერთა სამრევლო სკოლების უმცოდინარი მასწავლებლების და სხვათა მოსაზრებათა წყალობით მთელ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებზე ცუდი აზრი შეადგინეს და ამიტომ დაჰკეტეს და სამღვდელოებას ჩამოართვეს სკოლების გახსნის უფლება, მაგრამ დღეს უმაღლესმა მთავრობამ კეთილ ინება ამ უფლების ჩვენდამი მონიჭება და ითხოვს სამღვდელოებისგან, რათა ეს უკანასკნელი დაეხმაროს მთავრობას ხალხის განათლების საქმეში.

ამედია, ამ საგნის შესახებ უკვე დანიშნული იმერეთის ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების სამასწავლებლო რჩევის წევრნი და ამ სკოლების გამგენი საქმეს რიგიანად და მოსაზრებით შეუდგებიან, რომ ამ ჩვენდამი მთავრობისგან ხელ-ახლად მონიჭებულმა უფლებამ კეთილი ნამყოფი გამოიღოს.

მდვდელი მიხეილ გავაშელოვი.

*) ჩვენ არ ვეთანხმებით პატივცემულ პ. კ. ზოგიერთ მოსაზრებაში, მაგრამ ვხეჭდავთ ამ სტატიას მაინც შეუცვლელად, რომ ყველას მივსცეთ საშუალება თავისი აზრის გამოთქმისა ამ საჭირო საგანზე. ჩვენ აზრს შემდეგისთვის გამოვთქვამთ ამ საგნის შესახებ.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა.

ამ ცოტა ხანში ჩვენ მივიღეთ იმერეთის ეპარხიის სამღვდელოების ზოგიერთ დეპუტატთაგან თითქმის ყველრებით სავსე წერილები იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელ სამღვდელოების შეკრებილებაზე არ დაესწარი და არ მივიღე მონაწილეობა შეკრებილების გარდასაწყვეტ საქმეებში. ამასთან ზოგიერთ დეპუტატებს ჩემი ამ კრებაზე დაუსწრებლობის მიზეზად გამოჰყავთ არა ის საპატიო მიზეზი, რომლის გამო მე ვერ დაესწარი შეკრებილებაზე, არამედ სხვა, რომელიც მე სრულებით სახეში არ მქონებია არასოდეს. კრების წინ დღით მე მივსწერე წერილი კრების თავსმჯდომარეს, ვინც იქნებოდა არჩეული და იმ წერილში დავინშნე მიზეზი, რომლის გამო კრებაზე ვერ დაესწრებოდი. ამასთან ვსთხოვდი იმ წერილითვე თავსმჯდომარეს, რომ ჩემი წერილი წაეკითხა კრებაში დეპუტატებისათვის, მაგრამ კრების თავსმჯდომარემ რატომ არ აღასრულა ეს ჩემი კანონიერი თხოვნა, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცი. კრების თავსმჯომარეს რომ ჩემი წერილი წაეკითხა მაშინ, ის გამომიყვანდა იმ საყვედურისაგან, რომელსაც ეხლა მიცხადებენ ზოგიერთი დეპუტატები. ჩვენ ეხლა ვართ იძულებული „მწყემსის“ საშუალებით შევატყობინოთ ამ წერილის შინაარსი კრების დეპუტატებს და, იმედია, ამ წერილის წაკითხვის შემდგ განვთავისუფლდებით იმ საყვედურისაგან, რომელსაც ეხლა გვიცხადებენ ზოგიერთი დეპუტატნი. აი ჩვენგან მიწერილი ბარათი უკანასკნელი სამღვდელოების კრების თავსმდომარისადმი: „სამღვდელოების შეკრებიდებაზე დასწრება, მონაწილეობის მიღება და, შეძლებისა გვარად, დასმარება ჩემთა მოძმეთა ეოკედოვის შეადგენდა და შეადგენს ჩემთვის უმჯობესველს საამაგნებელს და საინტერესო საგანს. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ესენდელ სამღვდელოების შეკრებიდებაზე ვერ ვესწრები. მიზეზი ამისი ორის ავადმყოფობა და უიმედო მდგომარეობა ჩემი შვილისა. ვისაც შვილი ჰყავს და მისი ავადმყოფობა გამოუცდია, დარწმუნებული ვარ, არ დამემდურება, რომ ამ კრებაზე ვერ ვესწრები. თავსმჯდომარეს ვსთხოვ ეს ჩემი წერილი კრებაში წაეკითხოს დეპუტატთა.“

ჩვენ ვერ აგიხსნია დღემდის, თუ რატომ არ აღასრულა კრების თავსმჯდომარემ ეს ჩვენი სურვილი, როგორც ერთი დეპუტატთაგანის? ამბობენ დეპუტატები, რომ მაშა თავსმჯდომარეს სრულებით ვერ დაეცვა წესი შეკრებილებაზე და ამიტომაც ამ კრებას არავითარი ნაყოფი და გამჭრიახობა არ გამოუჩენია. ამაზე სწუხს სამღვდელოება და სწუხდნენ დეპუტატებიც. დაწვილებით ამ კრების მოქმედებაზე და თავსმჯდომარის სუსტ გამჭრიახობაზე შემდეგ №-ში მოველაპარაკებით „მწყემსის“ მკითხველებს.

დეპუტატი მღვ. დ. დამბაშიძე.

საისტორიო მასალა.

(გაგრძელება).

მცხეთის სობორო.

ერთ მცხეთა სძევს ორს მდინარეს შუა: სამხრეთით ჩამოდის მდ. მტკვარი, ხოლო აღმოსავლეთით არაგვი. ოცდა მეექვსე მეფემ მირდატმა აღაშენა მონაკვეთს სვეტის ადგილას ქვითკირის სვეტი ჯ ამის გამო ეწოდა სობოროსა ამას, რომელიც არის აღშენებული ამავე ადგილზედ,—სვეტი-ცხოველი, და აღმართა მასზედა ჯვარი, საიდგანაც სდიოდა სამკურნალო მირონი. ოთხმოცდა მეთორმეტე მეფემ ვახტანგმა მეხუთე საუკუნეში აღაშენა სობორო და შეამკო კარი სამირონესი ოქროთი, მინით და ვეცხლით. ლანგეპურისაგან შემუსაერილი ეკკლესია განუახლებია მეთხუთმეტე საუკუნეში მეფე ალექსანდრე პირველს, შვილს ბიორგისას. სობორო ესე არის აღშენებული თლილის ჩუქურთმიანის ქვებით და აქვს სიგრძე დასავლეთის კარებამდინ 23½, სიგანე 14½ და სიმაღლე 30 საჟენი.

ყანკელი სდგას ხუთ ატაქიანი ჩუქურთმით და არის ეკკლესიაში მეფის და კათოლიკოზის დასაჯდომელი.

ამა სობოროში იპოვნიან შემდგომნი ძეირფასნი ნივთნი და ხელთ-ნაწერნი წიგნები:

1) ხატი ღვთის-მშობლისა თერმეტ ნაწილიანი, სიმაღლით 5 გრე და სიგანით 4, ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკული და შეწირული დადიანის ასულის მარიამისაგან ქორონიკონს 367 (1679 წ.)

2) ხატი ღვთის-მშობლისა, მოგეცხლილი და ოქროში დაფერილი, შემკულია ძვირფასის ქვებით, სიმაღლით არის 6 და სიგანით 5 გრე. არის შეწირული დიმენტი კათოლიკოზისაგან ქორონიკონს 396 (1708 წ.)

3) მოოქროგილი ვეცხლში ჩასმული მრავალნი ნაწილნი, რომელსაც აქვსთ წარწერა: შარავანდედმა ქართლისა და კახეთისა, სამცხრე სააბაბაგოს მწყესმა, უწმიდესმა კათოლიკოზმა დიმენტიმ, დაკვადგინე ხატი ესე აწყურის ეკკლესიაში ქორონიკონს 406-ს (1718).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) კიდობანი ვეცხლში ჩამჯდარი მრავალ-ნაწილოვანი, რომელიც არის ზომით ათი გრე, შეუმკია ქართლ ს მეფის ძმას ცარევიჩს სიმონს და მეუღლესა მისსა გულქანს 1716 წელში.

5) კიდობანი ვეცხლისა თავის სახურავით, სიმაღლე აქვს რვა გრე ნახევარი და სიგანე ოთხი გრე. ასვენია ჩუქურთმით ამოჭრილი სვეტი-ცხოველი, წონით არის სამი გირვანქა და 60 მისხალი. ეს შეუმკია სრულიად ჩრდილოეთის და აბხაზეთის კათოლიკოზს მალაქია გურიელს, შეუმკია იმ დროს, როდესაც შაჰაბაზს მოუოხრებია ქართლი და კახეთი, ლიხეთის მთით მისულან გაქცეულნი ხალხნი შესაფარებლად და სადაც ქართლის კათოლიკოზიც მისულა და მუნ აღსრულებულა. რაც ამ კათოლიკოზს რაიმე ნივთი დარჩომია, ამ გურიელს ჩაუბარებია საქარია კათოლიკოზისათვის. ეს ხატი, სურა და ბოდნოსი აქ დაშთნენო, აწერია, და თუ ოდესმე საქართველო აღსდგესო, ღმერთმა ინებოსო, მაშინვე ჩვენ თვით მივაცილებთ ეკკლესიამდინ და ბევრს სხვასაც შევსწირავთო; ხოლო უკეთუ ჩვენს სიკვდილს შემდეგ დაიჭიროს ვინმეო, იმან მოგვცეს პასუხი მეორედ მოსვლის დროს, ვინც მცხეთამდინ არ მიასვენოს და არ ჩააბაროს კათოლიკოზსო. რადგანაც ჟამთა ვითარებისაგან დაშლილა, მეორედ საქართველოს მეფეს და კათოლიკოზს დომენტის გაუმართვინებიათ და ოცი მარჩილი ვეცხლი მოუხმარებიათ ქორონიკონს 404 (1712 წ.) ამავე კიდობანში არის სხვა კიდობანი ხისა სრულს ოქროში ჩამჯდარი, ზომით ექვსი გრე და 44 ბუდე აქვს წმიდა ნაწილთათვის.

6) კიდობანი კარებიანი წმიდა ვეცხლისა მოოქროვილი შესანახავად წმიდა ნაწილებისა. კარებზედ აწერია: ნაწილი წინამორბედისა, იოანე ოქროპირისა, ცხოველს მყოფელის ხისა, პროკოპისა და სტეფანე ახლისა, წონა აქვს 34 მისხალი.

7) გარდამოხსნა წითელს ატლასზედ ოქრომკერდით ნაკერი მშვენიერის და საუკეთესო ხელოვნობით. ეს უხმარია, როგორც გარდმომცეს, შახს ყაჯრად, როდესაც მოუოხრებია საქართველო.

8) ჯვარი ვეცხლისა სიმაღლით გრე ნახევარი და სიგრძით ერთი გრე. ამაში ასვენია ნაწილები ცხოველს-მყოფელის ხისა, ღვთის-მშობლის სამოსლის და სვეტისა, რომელიც მოუჭრიათ კედრისაგან კვართისა. არის შეწირული ედიშერ მუხრანსკისაგან.

9) ჯვარი ვეცხლისა მოოქროვილი ნაწილებიანი, წონით ორი მისხალი.

10) ჯვარი, რომელსაც წინა პირი ოქროსი აქვს და ასვე, ნია ცხოველს-მყოფელი ხე, ოთხი ბუდეც ნაწილებისა აქვსუსხედს 4 იაგუნდი, 128 სხვა-და-სხვა ქვები და 13 ზურმუხტი, სიმაღლე აქვს შვიდ გრე ნახევარი.

11) ჯვარი ოქროს წყალში დაფერილი ვეცხლისა, წონით 281 მისხალი.

12) ჯვარი მოოქროვილი ვეცხლისა, წონით ერთი გირვანქა და 60 მისხალი.

13) ჯვარი სევადიანი, წონით ერთი გირვანქა და 46 მისხალი.

14) ჯვარი ხისა ვეცხლ-შემოკრული 8 გრე აქვს. ეს ყოფილა საკუთრება ციხე სამების ეკკლესიისა.

15) ჯვარი ხისა ვეცხლ-შემოკრული, ტრაპეზს უკან, დასადგმელი. ეს ჯვარი შეუმკია ნაზირს დავითს და შეუწირავს 1731 წელს 25 იანვარს.

16) ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი წმიდა ოქროსნი, აქვსთ წონა შვიდი გირვანქა. შემოწირულია ირაკლი მეორისაგან.

17) ბარძიმ-ფეშხუმი ქოლოთის ქვებით, წონით არის სამგირვანქა ნახევარი.

18) მესამე ხელი ბარძიმ-ფეშხუმი მოოქროვილი ვეცხლისა წონა აქვსთ შვიდი გირვანქა და 24 მისხალი.

19) მეოთხე ხელი ბარძიმ-ფეშხუმი წონით არის სამი გირვანქა და 75 მისხალი.

20) მეხუთე ხელი ბარძიმ-ფეშხუმი ვეცხლისა წონით არის ექვსი გირვანქა.

21) მეექვსე ხელი ბარძიმ-ფეშხუმი, წონით არის ორი გირვანქა და 48 მისხალი.

22) ვეცხლის სანაწილე ტრაპეზისა წონით არის ცხრა გირვანქა და 94 მისხალი, შემოწირულია მარიამ დედოფლისაგან 1817 წ.

23) სანაწილე ვეცხლისა სევადიანი წონით არის სამი გირვანქა.

24) სანაწილე მოოქროვილი ვეცხლისა წონით არის ორი გირვანქა და 48 მისხალი.

25) ოთხი ვეცხლის საცეცხლური წონით არის ოთხი გირვანქა და 73 მისხალი.

26) ორი ვეცხლის სამღვდელო-მთავრო კვერთხი.

27) ხაიაზმე ჯამი ვეცხლისა წონით 180 მისხალი.

28) ვეცხლის სურა წონით 246 მისხალი.

29) ოთხი თევში და ორი სურა ვეცხლისანი წონით ორი გირვანქა და 6 მისხალი.

30) ჯვარი მარგალიტით ნაკერი წონით 43 მისხალი.

31) კვერთხის თავი ოქროსი მინანქრით წონით არის 55 მისხალი. ეს არის რვა კუთხიანი, რომელშიაც რვა ზურმუხტი ზის და ხუთი ხატი აქვს. თავზედ არის გამოხატული ქრისტე და გარეშემო უწერია: შენ ხარ კლდე და ამავე კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას. გარეშემო გვერდებზედ დახატულნი არიან: 1) დავით წინასწარმეტყველი ამის გარშემო აწერია: კვერთხმან შენმან და არგანმან შენმან ამათ ნუგეშინის მცემს მე. 2) სოლომონ მეფე, ამას უწერია გარეშემო: რომელსა უყვარან შვილნი სწავლის კვერთხითა. 3) მოსე წინასწარმეტყველი, გარეშემო უწერია: და შენ აღიღე კვერთხი ეგე შენი და განირთხ ზღვასა მაგას ზედა და განიღოს ეგე. 4) აარონი, ამის გარეშემო აწერია აჰყავდა კვერთხიცა აარონისა და გამოიღო ნიგოზი. დავითს ქნარი უჭირავს, მოსეს სჯულის ფიცარნი, სოლომონს სკიპტრა და არონს საცეცხლური, უკეთესი ხელოვნება აღარ შეიძლება.

32) ესრეთივე კვერთხის თავი, რომელსაც 14 ბრილიანტი უზის.

33) სახარებაში ჩასადები ნიშანი მარგალიტით ნაკერი, 19 იაგუნდი, 9 ზურმუხტი და 4 ფირუზი ურევია ოქროში ჩამსხდარნი.

34) ვეცხლის სურა წონით 190 მისხალი.

35) ვეცხლის აზარფეშა წონით 65 მისპალი.

36) თათხი ვეცხლის კანდელი და 14 ვეცხლის შადნები.

ხელით ნაწერნი ეტრატზედ.

1) სახარება მეოთხედ ფურცელზედ ტყავით შეკრული.

2) სახარების თარგმანი, ფურცელი აქვს 506.

3) წმიდათ ცხოვრება უფდო, დაწერილი ქორონიკონს 375 (1687 წ.) აქვს ფურცელი 473.

4) დავითნი მეოთხედ ფურცელზედ, აქვს ფურცელი 263.

5) ცხოვრება ღვთის-მშობლისა მიცვალებამდინ, აქვს ფურცელი 302,

6) წიგნი მაქსიმე აღმსარებელისა ტყავით შეკრული, ფურცელი აქვს 331.

7) იაკობის ლიტურღია მეოთხედ ფურცელზედ შავის ტყავით კეკრული აქვს ფურცელი 85.

8) სახარება მეოთხედ ფურცელზედ, აკლია თავი, ფურცელი აქვს 221.

9) სამთვენი უფდო მეოთხედ ფურცელზედ, აკლია თავი, ფურცელი აქვს 118.

10) სადღესასწაულო მეოთხედ ფურცელზედ უფდო, აკლია თავი, ფურცელი აქვს 195.

მღვდელი მიხეილ ხელაევი.

კათოლიკოზი ანტონი II.

(გაგრძელება).

ანტონისაევ დროს მომხდარა გახსნა თბილისში კეთილ-შობილთ ქართველთ ყრმათა სასწავლებლისა (**училища для благороднаго грузинскаго юношества**) და შემოტანა საქართველოში და თბილისის სიონის ტაძარში დასვენება წმ. ნინოს ჯვრისა.

ჯვარი ესე წმ. ნინოსი პახტანგ II დროს წაღებულ იქმნა რუსეთში და მის შემდეგ ინახებოდა პახტანგის ჩამომავლობასთან სოფელ ლისკოეოში. ამ ჯვრის საქართველოშიე დაბრუნება წერილით სთხოვეს მეფეთ: თეიმურაზმა და ერეკლემაც, მაგრამ ჯვარი მაინც არ დაუბრუნეს. 10 ივნისს, 1798 წელს მეფე ბიორგიმ მისწერა რუსეთში ბიორგი ალექსანდრეს ძეს შემდეგი წერილი: „უგანათლებულესო და დიდებულ ძმად და ბიძად საგულებელო ბიორგი თანა-მოსახელეო ჩემო! ღმერთმან მამათა ჩვენთა ინება და მომცა ტახტი ქართველთა მეფობისა, გაოხრებულისა მტერთაგან; აკლია ახალი რაიმე წყალობა, სასოება და ნუგეში. პაპისა და მამისა ჩემისა თხოვითა დაეურთავ ვედრებასა ჩემსა: მოანიჭეთ ჯვარი წმიდისა ნინოსი—საუნჯე ქართველთა, ქართველთაევ. ჰქმენით სახელი და საჩუქრითა ამით დაასაჩუქრეთ ეკკლესია წმიდა ჩვენი...“ (იხ. ცხოვ. ბიორგი XIII გვ. 179).

ეს ნაირი თხოვნის შემდეგ ბიორგიმ ეს ჯვარი მაინც არ გამოგზავნა საქართველოში, არამედ 1801 წ. მიართვა იმპერატორს ალექსანდრე I-ს, რომელმაც ინება და შემდეგის რესკრიპტით (15 ოკტ. 1801 წ., მოსკოვით) მთავარ-მართველს ქნორინგს უბრძანა, რომ ეს ჯვარი—სიქადული ქართველთა ერისა, მიბოძებია იმათთვისვეო და პატივით წაასვენეთ საქართველოშიო.

ქნორინგი თავის მხრით სთხოვს (24 ნოემბრიდამ, 1801 წ. ტ. I გვ. 535) მის მეუფებას ანტონის, რომ ამ გვარი მოწყალება ხელმწიფისა გამოცხადებულ იქმნეს ყველა ეკკლესიებში და ჯვრის დასახვედრად მიღებულ იქმნეს შესაფერი ზომანი, რომ სამღვდელოება ყაზიბეგიდამ თბილისამდის პატივით მიეგებოს ამ საუნჯესა და თბილისის სიონის სობოროშიაც მისთვის დაამზადონ შესაფერი ადგილი,

ეს ჯვრის დასახვედრად თვით კათოლიკოსი ანტონი წაბრძანდა მცხეთას მთელი თავის კრებულით, ჯვარს დახვდა შემოსილი, ზარების რეკით, ემთხვია მას და მერე მიასვენა მცხეთის სობოროში და გადიხადა პანაშვიდი. მეორე დღეს შემოსილმა კრებულმა სამღვდელოებისამ კათოლიკოზი თურთ მოიტანეს ქალაქს ეს ჯვარი და დაასვენეს სიონის სობოროში. თბილისელთ ჯვრის შემოტანის დღე იდღესასწაულეს.

ეთილშობილ ყმათა სკოლის გახსნა მოჰხდა 22 ენკენისთვეს, 1802 წელს (იხ. Акт. I, გვ. 310). სკოლის გახსნის წინად ქოვალენსკის ვედრებით მიუმართავს თავად აზნაურობისათვის: მოიყვანეთ თქვენი შვილები სკოლაში სასწავლებლადო და ხსენებული დღისათვის გამოცხადებულან 45 მოწაფე (Акт. ტ. I, გვ. 310). პანაშვიდის გადახდაზე თვით ანტონი არ დასწრებია და ამიტომ იგი გადუხდია რუსთავის მღვდელ-მთავარს სტეფანეს თბილისის მიტროპოლიტის არსენის თანადასწრებით. მასწავლებლად ამ სკოლაში გაუმწესებიათ კანცელარიის მოხელენი (**канцелярскіе чиновники**) კოლეჟსკი რეგისტრატორნი: პლეშჩეევი და პოკროვსკი—რუსული ენის სასწავლებლად, ხოლო ქართულის ენის—ქავკასიის ბრენდერის პოლკის მღვდელი ბრიგორი (?); დირეკტორის თანამდებობის აღმასრულებლად დროებით დაუნიშნავთ ქარნეევი. შემდეგ კი რუსულ ენაზე გაუმწესებიათ: სტეფანე ბულიაევი და პავლე მალცოვი. 16 იან., 1804 წ. თხოვნისამებრ ციციანოვისა ანტონ კათოლიკოზს მიუცია ნება, რომ იოანე ქართველოვი და ბერი ნეოფიტე დაენიშნათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენის მასწავლებლად ხსენებულ სკოლაში (იხ. Акт. ტ. II. გვ. 198). სკოლის შესანახავად გადადებული იყო 10 000 მანეთი, ეს ფული ყოველ წლივ ხარჯად შემოდიოდა ჭარელთაგან.

Ფელლავის სემინარიის ყოფილმა რექტორმა, შემდეგ პენზის არქიელმა ბაიოზმა, გამოუგზავნა ამ სკოლას 630 ეკზ. თვისგან შედგენილი ქართული გრამატიკისა (Акт. ტ. II, გვ. 199).

Შემდეგ რამდენიმე ხნისა დირეკტორად სასწავლებლისა დაინიშნა დეკანოზი ალექსი პეტრიევი (ქართველი), მაგრამ იმან მეორე წელიწადსვე (1805) უქვეშევრდომილესად ითხოვა განთავისუფლებინათ ამ თანამდებობიდამ, რადგან ჰსურდა ბერად შემდგარიყო.

Თითქმის 1809 წლამდის ახალი მმართველობა არ რეულა სასულიერო საქმეებში და ანტონ კათოლიკოზს უმართავს თვისი სამწყსო. როგორც სჩანს საქმეებიდამ (იხ. Акт. ტ. ტ. I, II, III და IV — სასულიერო ნაწილი) ამ წელს კი მთავრობას მიუქცევია თვისი ყურადღება ამ ნაწილისათვისაც.

Ივლისის 6-ს, 1809 წელს უწ. სინოდის პროკურორს გენერ. ტორმასოვი სწერს: ვალდებულებისა მებრ მე განვიხილე ვითარება აქაური (საქართველოს) ქვეყნისა და შევატყე, რომ აქამდის სამღვდელოება დაშთენილა უყურადღებოდ მთავრობისა და მივიწყებულია. საჭიროა, ამ წოდებისთვისაც ვიზრუნოთ. მე ამაზედ კიდეც მოვილაპარაკე კათოლიკოზ ანტონისთან. საჭიროა, აქ განსაგებლად სასულიერო საქმეთა დაარსდეს ისეთივე დიკასტერი, როგორც რუსეთში. აწინდელი მდგომარეობა სამღვდელოებისა არა სანატრელია. ქონება ეკკლესიისა ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი; მღვდლების კურთხევა ხდება უკანონოდ. მრავალი მათგანი სრულიად გაუნათლებელია (იხ Акт. ტ. I, გვ. 9). ანტონიმ თვითონვე მთხოვა, რომ დაარსოთ დიკასტერი და სხვ.

Ამ მოხსენებით უფლებანი კათოლიკოზისა, როგორც დამოუკიდებელის პირისა, ცოტა არ იყოს, უნდა შემცირებულიყო და შეზღუდულიყო. საფიქრებელია, რომ ამ გვარ დასკვნამდის გენერალი ტორმასოვი უფრო იმან მიიყვანა, რომ მთავრობას ჰსურდა სრულიად მოესპო ხარისხი კათოლიკოზობისა, რადგან იგი მოსაგონებელი საგანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვით-არსებობისა. და შეზღუდვა ანტონის უფლებათა მით უფრო საჭირო იყო, რომ იგი თუმცა არა ცხადად,—საიდუმლოდ მაინც მოქმედებდა იმ ახალის მმართველობის წინააღმდეგ პირთა თანა, რომელნიც იყვნენ მისნი ღვიძლნი ძმანი და ძმის-შვილნი. ეს სჩანს, სხვათა შორის, ლაზარევის წერილიდამ (29 ივნისს 1802 წ.) № 218) კნორინგისადმი, რომელშიაც მოხსენებულია აღელვება თავად-აზნაურთა კახეთში და არეულობის მოთავეთა შორის დასახელებულია კათოლიკოზი ანტონიც (ტ. I, გვ. 367).

Სხვა ადგილას (ტ. I, გვ. 403) მოყვანილია ცნობა იმაზედ, რომ დედოფალ დარიასთან შემდგარა მთელი წრე მოწინააღმდეგეთა, რომელთა შორის არიან: მეფის ძე ვახტანგი, პატრიარქი ანტონი, კონსტანტინე ბაგრატიონი და სხ. დედოფალი დარია ატყობინებს ალექსანდრეს, რომ მთელი კახეთის დიდ-კაცობა მზად არის და ელის მის შემოსვლას, რომ აალელვონ ხალხი (რაპორტი ლაზარევისა კნორინგისადმი 3 ოკტ., 1802 წ. № 505, ტ. I. გვ. 403).

Გასაკვირველია, ამ გვარს მოწინააღმდეგეს და საქართველოში დიდი გავლენის მქონეს მთავრობა ჯერ-ჯერობით უთმობდა და თითქოს ვერ ჰხედავდა მის მოქმედებას. დარწმუნებული იყო, რომ ყველა მეფეთ ჩამომავალთა ერთბაშად რუსეთში გადასახლება შეუძლებელი იყო, რადგან იგი დამართავდა შფოთსა, უკმაყოფილებასა და, შესაძლებელიც იყო, მთელი ხალხი აელელვებინა. ამიტომ ანტონის თავი დაანებეს დროებით. მაგრამ, როდესაც თითქმის ყველა წევრნი სამეფო გვარისანი დაიჭირეს და რუსეთში გადაასახლეს, მაშინ, როგორც ზემოთ ვსთქვით, მოაგონდათ ანუ უკეთ ვსთქვათ, მოიცალეს და იდროვეს ანტონისათვისაც. თვით გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ანტონი გაეწვიათ რუსეთს.

Ეს იყო ის საზიზღარი გარემოება, რომ ახლად რუსეთიდამ ჩამოსულმა მიტროპოლიტმა ვარლაამ ერისთავმა წასჩხუბა ანტონ კათოლიკოზი ტფილისის მიტროპოლიტ არსენთან (იხ. Странникъ გვ. 96). მაგრამ ამას ცხადად გვიხატავს თვით უქვეშევრდომილესი საჩივარი მიტროპოლიტის არსენისა ხელმწიფისადმი 20 აგვისტოს 1809 წ.

Არსენი სწერს: აქამდის გაჩუმებას მე ვალად მდებდა ჩემი წოდებაო. ახლა კი ველარ ვითმენ და ველარ გავჩუმდები და მოგახსენებთ, როგორ და რისთვის მდევნიან ჩემნი მტერნიო.

Პირველად იმიტომ, რომ მე თქვენი ერთგული ვარო, რისთვისაც თქვენ დამაჯილდოვეთ წმ. ანას 1 ხარისხის ორდენითაო და აგრეთვე თეთრი ბარტყულით ბრილიანტების ჯვრითა. მეორედ, ჩემს

მტრებს ჰყურსთ, რომ წამართონ ტფილისის სიონის სობორო და მისცენ ვარლაამსა. მტერნი ჩემნი არიან: უმთავრესად ციხლარის მღვდელი ალექსი პეტრიევი, რომელმაც მოიტყუა კათოლიკოზი ანტონი და ვარლაამი და თანახმობით მთავარ-მართებლისა წარმოადგინეს თქვენის ი. უდიდებულესობისადმი და ითხოვეს, რომ მე გადამიყვანონ სხვა მდაბალ ადგილზე და სიონის სამიტროპოლიტო კი ჩააბარონ ვარლაამსა, ხოლო არხიმანდრიტობა ხსენებულს პეტრიევს.

დიდო ხელმწიფეო! ბრძანეთ გამოძიებინოთ, თუ როგორ გაცარცვა კათოლიკოსმა ანტონიმ მცხეთის და ალავერდის ეკკლესიანი; თუ როგორ ერევა ალექსი პეტრიევი საერო საქმეებში და რა უკმაყოფილება დასთესა წარჩინებულ გვართა ოჯახებში; ვარლაამმა კი, აქ ჩამოსულმა, ბევრი მიისყიდა, რომ წამართოს სიონის სობორო. ყველა ამ გვარი უწესოებანი ხდება პეტრიევისაგან და ვარლაამისაგან. გამოიძიეთ და გაიგეთ: 1) ორგული ვარ მე თ. ი. უ.? 2) წინააღმდეგი ვარ სარწმუნოებისა? 3) ეკკლესიების მცარცველი და გამოხრებელი ვარ?

აქ ბრძანება იყო—განაგრძობს არსენი, რომ მეფის ძის დავითისაგან მოხდენილნი განკარგულებანი და საქმენი გაუქმებულ ყოფილიყვნენ. თუმცა ზოგიერთნი გააუქმეს, მაგრამ ანტონიმ დავითისაგან დოსითეოს ციცხელაურის არქიმანდრიტობის ხარისხზე აღყვანა არა თუ გააუქმა, არამედ მას დაუმორჩილა 4 საარქიმანდრიტონი და ერთიც ურბნისის საეპისკოპოსო ეპარქია. გამოიკვლიეთ და გამოიძიეთ და მე ნუ გადამიყვანთ სიონის სობოროდამ.

ამნაირივე შემაძრწუნებელი წერილი და უარესიც მისწერა არსენიმ სინოდის ობერ-პროკურორს თავ. გოლიცინს 1 ფებერვლიდამ 1810 წ.

ამ წერილში ჩივის: პეტრიევი და არქიმანდრიტი დოსითეოზ უპატიოთ მეპყრობიან და მაგინებენო. თვით ანტონ კათოლიკოზი მქადებს, რომ მცემს და მოჰკლავს. ახლა კათოლიკოზმა მოიწვია ყველა მღვდელ-მთავრები და არ ვიცი, რას მიპირობსო. მაგრამ ამ მღვდელ-მთავრებს უფლება არა აქვთ, რომ ჩემზე რაიმე განჩინება შეადგინონო, ბოდბის მღვდელ-მთავარი ერია კახეთის ხალხის აღელვებაში და დააფიცა ხალხი იულონის ერთგულებაზე, მთავარ-ეპისკოპოზს იუსტინეს არა აქვს ტაძარი და 2,600 მ., ეკკლესიის ასაშენებლად გადადებული ფული, შეჭამაო; რუსთველმა აგრეთვე დააბნია ეკკლესიის ქონება, არც ეკკლესია აქვსო და სპარსელართანაც მიწერ-მოწერაშიაო; სამთავისისა აგრეთვე მომხრეა მეამბოხეთა. ბრძანეთ ჩემი მფარველი და შუამდგომელი იყოთ მ. ი. უმაღლესობისადმიო. (იხ. Акт. ტ. IV, გვ 143).

ჩინამ არსენის მოუვიდოდა რუსეთიდამ დაკმაყოფილება, საქართველოს სასულიერო სამართალმა გამოიძია არსენის საქმე, სრულიად დამნაშავედ იცნო ეს მოხუცი მიტროპოლიტი და თვისი გამოძიება 7 თებერვ., 1810 წელს წარუდგინა კათოლიკოზ ანტონისა რომელმაც ამ განჩინებაზე დააწერა: ჩვენ სრულიად საქართველოის კათოლიკოზი პატრიარქი ანტონი, ვამტკიცებ ამ განჩინებას, შედგენილს დროებით შემდგარის სასულიერო სამართალისაგან, შესახებ დროებით სამღთო—მოქმედების აღკრძალვისა არსენისათვის. 16 მარტსა, 1810 წ. ანტონი. და ეს განჩინება ანტონიმ სახალხოდ, საკრებულო წირვის დაწყების წინად სიონში, გამოაცხადა.

ამ ნაირმა საქმის მიმდინარეობამ, გამოწვეულმა სხვათაგან, ანტონის მეტად გაუჯანჯლა საქმენი. მისი გადასახლება, როგორც სამეფო გვარეულისაგანისა, რუსის მთავრობას დიდი ხნითვე უნდოდა, მაგრამ მიზეზები ვერ ეპოვნა და ელოდა მარჯვე დროს. და აი ეს დროც მოვიდა.

მოსე ჯანაშვილი.

წერილები პარიჟიდამ.

ფოტიოსის პირველი წერილი პაპისადმი, რომლის შინაარსის შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა ვილაპარაკოთ, ფრიად ფიცხი იყო და ზრდილობის საზღვარს გარდადიოდა. ერთი ალაგი ამ წერილისა, შესახებ „სული-წმიდისა" განსაკუთრებით საინტერესოა. კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებამ (381 წ.) დაადგინა, რომ სული-წმიდა მამისაგან გამოვალსო, მაგრამ დასავლეთის ეკკლესიამ ეს სწავლა შესცვალა ამ ნაირათ: სული-წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოვალსო. ეს ცვლილება, რომელიც ისპანიის ვიზგოტებს მიღებული ჰქონდა მე-IV საუკუნეში და ფრანგებს მე-VIII ში, იყო ნაყოფი წმ. ავგუსტინის და დიდი ლეონის თეოლოგიურთა ნაწარმოებისა. რა დრო იყო ამ საგანზე და ასე გვიან ალიაქოთის ატეხა?... მამა, ძე და სული-წმიდა—ამბობს მართლ-მადიდებელი ეკკლესია—ისე შეკავშირებულნი არიან და უერთმანეთოთ ჩვენთვის ისეთ წარმოუდგენელია, როგორც მზე, სითბო და სინათლე. მაგალითი ლამაზია, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ კითხვას არ ხსნის საკმაოდ. ჩვენ შეგვიძლია უფრო სამეცნიერო მაგალითი აეიღოთ: მოძრაობა, სინათლე და სხივი; თუ მოძრაობაა მიზეზი სინათლისა და მაშასადამე „სხივისა,“ თანავე „სხივი მოზდევს სინათლეს.“ ამ გვარი ახსნა არცეთი ეკკლესიისთვის არ უნდა იქმნეს საწყენი. ყოველ შემთხვევაში ეს ისეთი ჰიპერბოლაა, რომ ადვილათ ვერ გამოვძრები: არაა მოძრაობა—არ არის სინათლე და არც სხივი; არაა სინათლე—არ არის მოძრაობა და არც სხივი; არ არის სხივი—არ არის სინათლე და არც მოძრაობა. ამ წერილის გაგზავნა და პაპის საყდრიდამ გამორიცხვა ფოტიოსმა ზედი-ზედ მოახდინა 867 წ.

ამ წელსვე იმპერატორმა ბასილ მაკედონელმა დააპატიმრა ფოტიოსი პოლიტიკური მოსაზრების გამო და პაპასაც აუწყა. 869 წელს ხელ-ახლავ მოხდა მსოფლიო კრება, სადაც ფოტიოსი აღიარეს მტაცებლად, განხეთქილების მომხრეთ და ყალბი სასინოდო საბუთების მკეთებლათ. დიდ ხანს არ გაუვლია და ფოტიოსმა ისევ მიიღო პატრიარხობა; არც პაპი იყო ამის მოწინააღმდეგე, თუ კი იგი დათანხმდებოდა ბოლგარების ეკკლესიის დასავლეთთან შეერთებას. ეს წინადადება არც ფოტიოს და არც იმპერატორს არ იამათ...

ბოლგარების ეკკლესიის კითხვა, რომლის შესახებ უფრო ადრე უნდა მელაპარაკა, იყო ერთი განხეთქილების მიზეზთაგანი. ამ კითხვაში ბორისი—მთავარი ბოლგარებისა, პატრიარქი მგნატე და პაპი—ყველანი დამნაშავე არიან: რადგანაც ბორისი ბერძნებმა მონათლეს, ამათთვის უნდა ეთხოვა ეპისკოპოზი და არა პაპისთვის—ამას მოითხოვდა უბრალო ზრდილობა; მაგრამ რაკი მთავარმა პაპს მიმართა, პატრიარქის მხრით დარბაისლობა ითხოვდა მისთვის დაეთმო. ბანა სულ ერთი არ იყო საქრისტიანო სარწმუნოებისთვის, რომელ ეკკლესიას მიეკედლებოდა ბოლგარების ეკკლესია? აქაც პოლიტიკურმა მოსაზრებამ დასძლია სარწმუნოების ინტერესებს!—ბანხეთქილება გრძელდება; მაგრამ ბოლოც ეღება: ლეონ მე-VII გაპაპება ფოტიოსის საუბედურო მოჰხდა: იგი დამწყვდიეს ერთ მონასტერში, სადაც 891 წელს გადაიცვალა. ეკკლესიები რიგდებიან და მთელი მე-X საუკუნე მშვიდობით ჩაივლის.

ხრული დაშორება ორ დიდ ეკკლესიათა შორის მოჰხდა მიხეილ კერულარიოსის პატრიარქობის დროს. კერულარიოსმა ხელ-მეორედ აღძრა ის კითხვები, რომელნიც ათას ჯერ იყვნენ აღძრულნი; ხელ-ახლავ განაღვიძა მოშუშებული ჭრილობა. მისი წერილი ტრანის ეპისკოპოზისადმი, რომელიც პაპს ლეონს მე IX ჩაუგზავნა ხელში კარდინალი ჰუმბერტის საშუალებით, სიტყვა-სიტყვით განმეორებაა ფოტიოსის წერილისა. იგი შეეხებოდა: სულიწმიდას, კათოლიკეთა მღვდლების უცოლობას, ზიარებისთვის ხმიადი პურის ხმარებას, შაბათობით მარხულობას და სხვ.

ყვეხოთ ამ კითხვებს ჩვენის მხედველობის წერტილით. 1) რატომ ცოლს არ ირთავს კათოლიკის მღვდელიო? მიტომ, რომ იგი ბაძავს ამ შემთხვევაში ი. ქრისტეს. რა არის ცუდი ამაშიდ? უფლისადმი მიბაძვა სასახელო საქმეა და არა საზრახისი და საკიცხავი; მხოლოდ ი. ქრისტე იყო „ღმერთ-კაცი“ და ყველაფერში მისდამი მიბაძვა ჩვენთვის—„მარტო კაცებისთვის“—შეუძლებელია. მართლ მადიდებელი ეკკლესია ამ კითხვაში უფრო სამეცნიერო ნიადაგზე დგას. 2) რატომ „ხმიად“ პურს ხმარობთო? ამ კითხვას თვით კერულარიოსი არ აძლევს დიდ მნიშვნელობას. მართლაც, ვინ იტყვის, იერუსალიმში რომ ყოფილიყო სიმინდის ბადი, რომლითაც იკვებება საწყალი, ღარიბი ხალხი, ამ უკანასკნელს არ იხმარდა პურის მაგივრათ ი. ქრისტე, რომელსაც ასე უზომოთ უყვარდა დაჩაგრული წოდება? კერცხი წითლათ შეღებილი და თეთრი—ორივე კვერცხია. აფუებული პური და ხმიადი—ორივე პურია: ცოტა სხვა-და-სხვა გემოსი, მაგრამ ერთნაირათ მარგებელნი.

ეაპი კი უპასუხებს *) კერულარიოს: რატომ ჩემულობთ უფროსობასო თქვენ, კონსტ. პატრიარხებიო სხვა პატრიარხებზეო? ეს იმას ნიშნავს, რომ „ჩემი შენ გითხარიო და გული მოგიკალიო.“ კონსტ. პატრიარხები ერთ დროს კი უფროსობდენ ანტიოქის და იერუსალიმის პატრიარქებზე, მაგრამ განა პაპები არ ჩემულობდენ უფროსობას? პაპის უფლებათა შესახებ ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. სჯობს ალაგს შევჩერდეთ. მხოლოდ არ შემიძლია არ ვსთქვა ერთი: მიტომ იყო დასავლეთის ეკკლესია ძალუმი და გაელენიანი, რომ მას განაგებდა ერთი კაცი.

ბკითხველი მიხვდება, თუ რა ცოტა და მცირე მიზეზების გამო იყვნენ ორი „და,“ ორი დიდი ეკკლესია დაუბრებულნი რაოდენიმე საუკუნოების განმავლობაში. აწი კმარა, შერიგების ზარმაც უნდა

*) პაპის დელეგატებმა, რომელთა აზრები და არგუმენტები კერულარიოსმა არ მოისმინა, შეაჩვენეს იგი და აქტი შეჩვენებისა წმ. სტეფანეს ეკკლესიაში დადვეს.

დარეკოს! დღეს, როდესაც განათლება, ცივილიზაცია, მეცნიერება—ყველაფერი ემუქვრის სარწმუნოებას, საჭიროა, რომ საქრისტიანო ეკკლესიები დაეხმარონ ერთმანეთს და დაიცონ ი. ქრიტეს სწავლა!

დ. ონჭკორელი.

18 მარტს, პარიჟი.

ა რ ი ს ა დ გ ი ლ ი.

(ვუძღვნი იმერთ)

არის ადგილი, მის შვენებას ვერ აღწერს ხელი:
როგორც ედემის, მის აღწერა ისია ძნელი.
მისი შვენება ედემისა არის შვენება;
იმის შვენების მოშორება თვალს ესახება.
თვალს მოაშორებთ, თქვენი გული იმისკენვერბის,
იმის კვლავ ნახვას სიხარულით გული მოელის.

—

ზაფხულ ზეფირი მას დაჰქროლავს და მაზედ ხარობს,
ზამთრიდ მზე მარად, მაზედ მნათობს და მის გულს ათბობს;
ღამის მნათობნი სიხარულით მას დასცქერიან,
უხვათ თვის სხივთა ზამთარ, ზაფხულს მას უგზავნიან.
ესე არს მიწა საყვარელი ვარსკვლავთ და მზისა,
ზურმუხტ მდელოსი, ფერჩქვნილთ ყვავილთ და ნათლის ცისა.

—

დიდი შენობა მის დიდ მთაზე არს აღმართული;
ათასის წლისა, ხავსით არის; იგი მორთული.
სდგას დიდებულათ, გულ-ამაყად, მტკიცეთ და მაგრათ,
თითქოს უბრძანებს - გარემემო ხეობათ და მთათ:

—

«—აქ ვდგევარ მარტო, უმეზობლოთ, ვდგევარ ლიტონი,
მარტოც ვარ თქვენი ბძანებელი, თქვენი პატრონი!»

—

რა შენობაა ის შენობა?—ჰკითხეთ თითონ მას;
ათასის წლისა მის კედელი მოგცემთ თითონ ხმას:
იმის კედელი, ჯერაც მტკიცე, არ დარღვეული,
იმ შენობისა დიდებული არის რვეული.
ის ჩვენ მოგვითხრობს: «მე აღვშენდი ხელით ძლიერით.
«ათასმა წელმა ჩემს თავზედა განვლო გრიალით.

—

«ამ ათას წელში მრისხანებით მე მბერდნენ ქარნი;
«იძროდნენ მთანი ხეობანი მთანი და ბარნი;
«სეტყვა და მეხი მრისხანენი, ძლიერად მცემდნენ,
«ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს ცდილობდნენ.
«მაგრამ, ხომ ხედავთ, აწცა მაგრათ, ვით ძველად, ვდგევარ
«თუმცა ათასის წლის ხავსითა შემეს რვილი ვარ.

—

«აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა ცა,
«როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა.
«ჩემსა წიაღში განისვენებს დიდი თამარი,
«თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
«ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული. .
«აქ განისვენებს... მის სახელი — დიდი დავითი.
«მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ გელათი».

ვ. ო.

1879 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ-გაზეთთაგან.

«Церковно-общественный Вѣстникъ»-ში ჩვენ ვკითხულობთ: მალმიჟსკის მაზრაში მოხდა არა ჩვეულებრივი შემთხვევა. ვატიაკები, რომელნიც ზოგნი კერპთ-თაყვანის მცემელნი არიან და ზოგნიც მართლ-მადიდებელნი, რამე მღვდელ მოქმედების შესასრულებლად მიდიან მართლ-მადიდებელ მღვდლებთან, მაგრამ ზოგიერთ პარაკლისებს და მიცვალებულების დასამარხ წესებს თავისებურადაც ასრულებენ. ეს ვატიაკები რამდენიმე წლის წინად ნიშნავენ რომელიმე კაცს ღვთის შესაწირავად. ამ წელში, მუხტანის სამრევლოში, მკითხავის რჩევით წილი ხვდა ერთ მღვდელს მ. ივ. ბაზილევსკის. მას დაუძახეს, ვითომც ავადმყოფის საზიარებლად. როცა მოვიდა მღვდელი, მას გამოუცხადეს ის, რაც მას მოელოდა. ამბობენ, რომ, როცა მღვდელი გამზადებული იყო მოსაკლავად, მან სთხოვა, მისთვის დრო მიეცათ ღვთის შესავედრებლად, ნამდვილად კი უნდოდა, რომ სიკვდილი აეცილებია თავიდგან. ასეც მოხდა ღვთის განგებით. ამ დროს ამ სოფელში მოვიდა პოლიციის მოსამსახურე, რომ ძალა დაეტანებია მცხოვრებლებისათვის ხარკის გადახდევინებაზე. ამ პოლიციის მოსამსახურემ შეიტყო ბავშებისაგან, რომ სოფლელები ერთ სახლში არიან თავმოყრილნი პარაკლისის გადასახდელად. ერთი გლეხის თანადასწრებით, რომელიც მასთან ერთად მოვიდა, გასტეხა სახლის კარი. რევოლვერის სროლით და ხმალის ქნევით გაფანტა ეს ბოროტ-მოქმედნი. მღვდელი ეგდო სტოლზე შეკრული და შიშველი. რამოდენიმე წამი რომ დაგვიანებოდა, ეს შეკრებილი გლეხები დაუწყებდნენ მღვდელს დანებით ჩხვლეტას და გამოსულ სისხლს შეაგროვებდნენ თევშებში და დაუწყებდნენ სხმას, როგორც ჩვეულებრივად იქცევიან ხოლმე ცხოველთა მხვერპლის შეწირვის დროს. შემდეგ მღვდელს მოელოდა დაწვა ცეცხლზე. «ვინ ხართ მონათლული, — მიშველეთ», — მოისმა ხმა მღვდლისა. «ჩემ თავზე ვიღებ თქვენს უვნებლობას, მამაო», სთქვა პოლიციის მოსამსახურემ; მაშინვე განათავისუფლა მღვდელი საკვრელებისაგან; მღვდელს დაეკარგა გრძნობა და ბარბაცებდა უგონოდ. ამბობენ, რომ ამ შემთხვევის დროს მომკვდარა ექვსი კაცი და დაჭრილა შვიდი. დამნაშავენი შეუკრავთ და გაუგზავნიათ სატუსაღოში. სოფელი გარშემორტყმულია ყარაულებით და საქმე ოლქის სასამართლოს პროკურორს გადაცემია. აი ყველაფერი რაც არის შეტყობილი ამ უბედურ მღვდელზე, რომელიც თურმე წინეთ ავადმყოფობდა და ეხლა კიდც მომკვდარა.

მატიანე

საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

მთელმა სლავიანობამ ექვს წარსულ აპრილს ჯეროვნად იდღესასწაულეს ნეტარი განსვენების მოგონება წმიდა მეთოდისა. ქუთაისში ამ დღეს კათედრის სობოროში იყო მწირველი მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. წირვის შემდეგ შესრულებული იყო პარაკლისი ბულვარში ყველა ქალაქის სამღვდელოების თანადასწრებით. გასაოცარი იყო, რომ არც წირვაზედ და არც პარაკლისზედ რუსის საზოგადოება სრულებით არ დაესწრო, როდესაც ქუთაისში მოსამსახურეთაგანი თითქმის რუსები უფრო მეტი არიან ქართველებზე.

ამ დღესვე, თორმეტ საათზედ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ერთ დიდ ზალაში შეიკრიბენ ყველა მასწავლებელნი და მოსწავლენი. აქ დაესწრო ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და სხვა მრავალი გარეშე პირნი. სასწავლებლის ერთმა მასწავლებელმა სთქვა სიტყვა, რომელშიაც იყო მოყვანილი ბიოგრაფიული ცნობები წმიდა კირილე და მეთოდიზე. ამ სიტყვის გათავების დროს შაგირდებმა იგალობეს სხვა და სხვა გალობები და ტროპარი ხსენებული წმიდანებისა. შემდეგ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ნიკოლოზ გაბრიელისძემ ტატიევმა, რომელშიაც განმარტა დიდი ღვაწლი წმიდათა კირილე და მეთოდისა სლავიანურ ენაზე ასოების შედგენით და მწიგნობრობის შემოღებით. ბოლოს ზოგიერთ შაგირდებს დაურიგეს საჩუქრებათ პატარა წიგნაკები კირილეს და მეთოდის ცხოვრებაზე.

პატარა დაბებშიაც დიდი პატივისცემით იდღესასწაულეს ნეტარი განსვენების დღე წმიდა მეთოდისა. დაბა ყვირილაში წირვაზე შეიკრიბა ხუთას სულამდე. წირვა და გალობა იყო სლავიანურ ენაზე. ამ დღეს სავაჭრო დუქნები დაკეტილი იყო წირვის გამოსვლამდე. წირვის შემდეგ წაკითხული იყო ეპისტოლე უწმიდესი და უმართებულესი სინოდისა. შემდეგ წარმოთქმულ იყო სიტყვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიაც ახსნილი იყო ცხოვრება და ღვაწლი წმიდათა ქირილე და მეთოდისა სლავიანთა განმანათლებლებისა.

***

Oკანასკნელ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებმა გარდაწყვიტეს, რომ ის ფული, 50000. მ., რომელიც ქუთაისში სემინარიის გასახსნელად იყო გადადებული, დაებრუნოს სამღვდელოებას უკანვე.

***

Cკლესიების ცარცვა-გლეჯა თან-და-თან ხშირდება საზოგადოდ მთელს საქართველოში.

***

Cამოვიდა უწმიდესი სინოდის უქაზი, რომლის ძალითა სამღვდელოებას ეკრძალება სამსახური შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებათა დაწესებულებაში. სინოდის აზრით ამ საზოგადოებაში სამსახური მღვდელს აბრკოლებს თავის პირდაპირი მოვალეობის აღსრულებაში.

***

Oწმიდესი სინოდის უქაზით ამიერიდგან სამღვდელოებას აღეკრძალება საერო წოდების ორდენების დაკიდება წირვის და სხვა მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს, ბარდა წმიდის ბიორგის ჯვრისა და ბლადიმირის ორდენისა.

***

Cურული კილოის საეკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღების საქმე ძლიერ კარგად მიდის. ქართული გალობის აღმადგინებელმა კომიტეტმა აღირჩია გამოჩენილნი იმერეთ-ბურიაში მგალობელნი: ბბ. ანტონ დუმბაძე, დიმიტრი ჭალაკანიძე, ნიკოლოზ მეძმარიაშვილი, მთავარ-დიაკონი რ. ხუნდაძე და ი. წერეთელი. ამათში ჭალაკანიძე, ხუნდაძე და წერეთელი ნიადაგ იმყოფებიან ქუთაისში და მათი გალობა გადააქვს ნოტებზე ბ. ქორიძეს. ბბ. დუმბაძე და მეძმარიაშვილი დრო და დრო ამოწმებენ მათ ნამუშევარს.

***

Cვავილის სნეულება კიდევ მძვინვარებს თითქმის მთელს იმერეთში. ქუთაისის ბუბერნატორმა მოახდინა კარგი განკარგულება ამ სნეულების მოსასპობლად. ყოველ მაზრებში დანიშნა კომიტეტები მაზრის უმფროსების თავსმჯდომარეობით, რომელთაც ვალად დაუდგინა მაზრის მარშალს და ექიმს, რათა მათ სხვა პირთა თანდასწრებით და დახმარებით ერთად დაიარონ სოფლები და, სადაც ნახონ აუცრელი ბავშები, მაშინვე აუცრან. ყველა მღვდლებს მიეწერა, რომ ყოველი ექვსი თვის განმავლობაში მოახსენონ ამ კომიტეტებს, თუ რამდენი დაიხოცენ ყვავილით ბავშები ექვს თვეში და რამდენი დაიბადნენ.

Cველა ამისთანა განკარგულებები, კარგი დაგემართოს, კარგია, მაგრამ საქმით სრულებით აღუსრულებელია. სად აქვს იმდენი თავისუფალი დრო ან მაზრის ექიმს და ან მაზრის უმფროსს, რომ ასე იარონ თავისუფლად საზოგადოებებში; ან როდის ჩამოიელიან ისინი მთელ მაზრას?. რა საჭიროა მღვდლების ჩაგონება აცრაზე და ყოველ ექვს თვეში მოახსენება ახალ დაბადებულებზე, როდესაც გლეხები ყველას შესთხოვენ ამცრელებს, მაგრამ ისინი მაინც ვერ შოვობენ მათ.

რითი სცხოვრობენ ხალხი.

მოთხრობა გრაფი დ. ტოლსტოისა (რუსულიდგან).

I.

Sცხოვრებდა ხარაზი თავის ცოლ-შვილით ერთი გლეხის ბინაზე. Oთავისი არც სახლ-კარი და არც მიწა-წყალი გააჩნდა; საზრდოებდა კი ოჯახობით ხარაზობის ხელობით. ბური ძვირი იყო, სამუშევარი კი იაფი და, რასაც აიღებდა, მაშინვე შეჭამდა. Oრთაევე ცოლ-ქმარს ერთი ქურქი ჰქონდათ და ისიც თითქმის დახეული და დაფხრეწილი იყო. Oრი წელიწადი იყო, რაც გლეხი ემზადებოდა, რომ ეყიდა ტყავის ახალი ქურქი.

Uემოდგომაზე შეუგროვდა ხარაზს გროშები. სამ მანეთიანი ეგდო დედა-კაცს ზანდუკში, ხუთი მანეთი და ერთი აბაზიც გლეხებზედ იყო სოფელშიდ. მოემზადა ხარაზი ქურქის მოსაპოებლათ და სოფელში წავიდა. ჩაიცვა დედა-კაცის დაბამბული საცმელი პერანგზე, ზევიდგან მაუდის საცმელი, ჩაიდო სამ მანეთიანი ჯიბეში, გამოსჭრა ჯოხი და გასწია საუზმის შემდეგ. Sიქრობდა: „გლეხისაგან ხუთ მანეთს მივიღებ, სამ მანეთსაც ჩემსას მიუმატებ და კარგს ცხვრის ტყავს ეიყიდი ქურქისათვის.

ჰიეიდა ხარაზი სოფელში, შეეიდა ერთ გლეხთან—შინ არ არის. დედა-კაცი შეპირდა იმ კვირეში ქმრის გამოგზავნას ფულებიანა და ფულები კი არ მიუცია. შეეიდა მეორესთან—იფიცა გლეხმა, რომ ფული არა მაქვს, მხოლოთ ერთი აბაზი კი მისცა ჩექმების დასაკერაკი. ფიქრობდა ხარაზი, ნისიათ მაინც წაეიღებ ცხვრის ტყავსო, მაგრამ ნისიათ მეტყავეემ არ ანდო.

— ფულები მოიტანე და შემდეგ ამოირჩიე, რომელიც გნებავს. თორემ ჩვენ კარგათ ვიცით ნისიათ ამორჩეეა როგორია. ამ გვარათ გლეხმა ვერაფერი საქმე ვერ გაარიგა, მხოლოდ მიიღო ერთი აბაზი ჩექმების დასაკერი და ძველი ნაბდის ჩექმები ტყავის შემოსაკერებლათ. შესწუხდა ხარაზი, დალია, ერთი აბაზის ოტკა და ცარიელი წაეიდა შინ. ღილას ხარაზს, ცოტა არ იყოს, შესცოდა, როცა ნასვამი იყო, მაშინ უქურქოთაც კი სცხელოდა. მოდის გლეხი გზაში, ცალ-ხელში ჯოხი უკავია და გაყინულს მიწას ურაკუნებს და ცალ-ხელში ნაბდის ჩექმები უჭირავს და აქიანებს, თანაც ელაპარაკება თავის თავს.

— ჰე, ამბობს, უქურქოთაც მცხელა. ბადავკარი ერთი შუშა, რომელიც ყოველ ძარღვებში თამამშობს, ქურქი რაღა საჭიროა. მიედევარ უდარდელათ. აი როგორი კაცი ვარ მე! მე რა? მე უქურქოთაც ვიცხოვრებ. მე ის საუკუნეთ არ მინდა. მხოლოთ დედა-კაცს ეწყინება და საზრახისიც არის, შენ მისთვის მუშაობ და მას კი დაყავხარ იქითაქეთ. მოითმინე შენ ახლა: არ მოიტან გროშებს—თავზე ქუდს მოგხდი—ღმერთმანი მოგხდი. აბა რასა გავს! ორ-ორ შაურობით იძლევა! რა უნდა ჭქნა ორი შაურით! უნდა გადაჭკრა მარტო. ბეუბნება „მეჭივრებაო.“ შენ გეჭივრება და მე კი არა? შენ სახლიც გაქვს, კარიც, ნახირიც და მე კი, რასაც მხედავ, ესა ვარ; შენ შენი პური გაქვს, მე კი ეყიდულობ, საიდგანაც გინდა ი'ზოვნე, კვირა'ში სამი მანეთი მარტო პურში მიდის. მიეალ შინ, პური გამოლეული იქმნება, ამოაწყვე მანეთ-ნახევარი კიდევ. მაშ ჩემი მომეცით.

ჰოადგება ამ ნაირი ხარაზი სამლოცველოს მოსახვევში, ხედავს თვითონ სამლოცველოს უკან რაღაც თეთრად გამოჩანს. ის ის იყო ბნელდებოდა, დაეცქერდა ხარაზი, მაგრამ ვერ გამოიცნო, რა არის. ამ გვარი ქვა აქ, ფიქრობდა, არ ყოფილა, საქონელია? საქონელს რომ არა ჰკავს. თავიდგან კაცს ჰკავს, მაგრამ თეთრია რაღაც. და კაცსაც რა უნდა ახლა აქ?

ჰიეიდა ახლოს—მთლად დაინახა. რა სასწაულება არის ეს: ნამდეილი კაცია, ცოცხალია, თუ მკვდარი, ტიტველი ზის, მიყუდებული სამლოცველოს და არ ინძრეევა. შეეშინდა ხარაზს და ფიქრობს თავისთვის:

„ჰოჭკლა ვიღაცამ სწორეთ კაცი, გახადა ტანისამოსი და აქ მიაგდო. მიდი და ნახე შენ, ვინ იცის, ველარც კი მოიშორო დავიდარაბა.“ მაუარა ხარაზმა ახლოს, მოეფარა სამლოცველოს, კაცი აღარსად სჩნდა. გაშორდა სამლოცველოს, მიიხედა, ხედავს: კაცი მოშორებია სამლოცველოს, ინძრეევა, თითქოს ჩემკენ იცქირებაო. ძიდეე უფრო შეშინდა ხარაზი, ფიქრობს თავისთვის: „მივიდე, თუ გვერდი აუარო? მივიდე, ეგებ ცუდი რამ იყოს, ვინ იცის როგორი კაცია? ძარგი საქმისათვის არ იქმნება ეს აქ. რომ მივიდე და მეცეს და დამახრჩოს, ხომ ვერ-სად წაუვალ. რა უყუ ამ ტიტველ კაცს? მე ხომ ვერ გავიხდი უკანასკნელ ტანსაცმელს და მას ჩავაცმევ. ღმერთო მაშორე.“ და მოუმატა ხარაზმა ნაბიჯს, გაშორდა სამლოცველოს, მაგრამ შეაწუხა სინდისმა. შეჩერდა ხარაზი გზაზე:

— ძას ჩადიხარ სიმონ ამას? ეუბნება თავისთავს. ძაცი გაჭივრებაში კვდება, შენ შეგეშინდა და გვერდი აუარე? ეგებ გამდიდრდი? ბეშინია შენი ქონების წართმევის? ჰი, სიმონ, ეს კარგი არ არის!

II.

ჰიეიდა სიმონი ამ კაცთან, გადაათვალიერა, ხედავს, ყმაწვილი კაცი, ღონეზეა, ტანზე არაფერი გალახულობა ეტყობა, მხოლოთ სჩანს, რომ კაცი გაყინულა და შეშინებულა, დამჯდარა დაყრდნობილი და არ უქცერის სიმონს, თითქო ისე დასუსტებულა, რომ თვალების ზვეით ახელა არ შეუძლიაო. მივიდა კაცი სხეულთან და უცვე, თითქო ახლა გამოიღვიძა კაცმაო, მოიბრუნა თავი, გაახილა თვალები და შეხედა სიმონს. და ამ ერთი შეხედვიდგან შეუყვარდა სიმონს ეს კაცი. ბაგდო ძირს ნაბდის ჩექმები, გაიხსნა სარტყელი და დადო ჩექმებზედ, იძრო ტანსაცმელი.

— ყმარა, ეუბნება სიმონი. ჩაიცვი ეს.

ჰოჭკიდა სიმონმა კაცს ხელი და ნიდაყვით ააყენა. ძაცი წამოდგა და ხედავს სიმონი სუფთა ტანს და წმიდა ხელ-ფეხს, პირის სახესაც ლმობიერს, მოახურა მას თავისი ტანსაცმელი, მაგრამ სახელოები ვერ მიაგნო. აჩვენა სიმონმა სახელოებიც, ჩაცვა და სარტყელი ზედ შემოარტყა. შნდოდა სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონს თავისი დაცვეთილი ქუდის მოხდა და მისთვის დახურვა, მაგრამ თავზე შესცივდა და სთქვა: მე მთელი თავი ბელატი მაქვს და იმას კი გრძელი ხუჭუჭი თმა აქვსო და დაიხურა ისევ. შმჯობესია ჩექმებს ჩავაცმევ.“ დააჯინა და ჩექმები ჩააცვა. ჩააცვა და ეუბნება:

— ესე ჩემო ძმაო, გაიარე და გახურდი—შეთბი და ამ საქმეებს ყველაფერს უჩვენოთაც გააკეთებენ.

Kამოსვლა შეგიძლია?

ნდგას კაცი, საწყალათ შესჩერებია სიმონს და არაფრის გამოთქმა არ შეუძლია.

— ატომ არაფერს ლაპარაკობ? აქ ხომ არ აპირობ ზამთრობას? ენდა შინ წაიდეთ, აბა ჩემი ჯოხი დაიბჯინე და ისე წამოდი. ვაიდა იგი კაცი, მიდის უკან, არ რჩება, მიდიან გზაში და ეუბნება სიმონი:

— ხაიდგან ხარ?

— ჰე აქაური არა ვარ.

— ქაურებს მეც ყველას ვიცნობ, მაგრამ შენ როგორ მოხვედი ამ სამლოცველოს ქვეშ?

— რ შემიძლია ესთქვა?

— ეგებ ვინმემ გაწყენია?

— რავის ჩემთვის არ უწყენია, მხოლოდ ღმერთმა დამსაჯა.

— ერთმა ყველაფერი იცის, მაგრამ სადმე მაინც უნდა დადგე. სად გინდა შენ დადგე?

— ემთვის სულ ერთია.

— აუკვირდა სიმონს. მაჩხუბარს არ გავს. და ლაპარაკზედაც რბილია, მაგრამ, რომ არაფერს ამბობს თავის-თავზე და ფიქრობს სიმონი: ოტა რამ საქმე ხდება ქვეყანაზე. ეუბნება ამ კაცს:

— ემოდი ჩემთან ოჯახში.

ნიმონი მიდის ეზომდის, უცხო კაცი მას არ შორდება, გვერდში მოჰყვება ისიც. ამოვიდა ქარი, გაუქროლა სიმონს პერანგში, გამონელდა ღვინო და შესცივდა. მიდის და ცხვირით ქშიტინებს, თან დედა-კაცის მოსასხმელს იხვევს და ფიქრობს: „აი ქურქი; წაედი ქურქზე, უპერანგოთ მოვედი და თან ტიტველი კაცი მომყავს. ამისათვის ატრონა არაფრად მაქებს!“ როგორც იფიქრებს სიმონი ატრონაზე—მაშინვე მოიწყენს. შეხედავს თუ არა ამ უცხო კაცს, მოიგონებს თუ არა იმას, თუ როგორ შესცქერდა იგი სიმონს სამლოცველოს უკან—გული სრულიად თამაშობას დაუწყებს.

თეოფ. ხუსკივაძე.

(გაგრძელება იქმნება.)

შეწირულებანი.

ვენ გვაცნობებენ, რომ ბლაღოჩინის მღვდლის მამა მიხეილ მჭედლიძის სუბლაღოჩინოში შეერეცილა თვილისის სასულიერო სემინარიის ღარიბი შაგირდების სასარგებლოდ თვრაეტი მანეთი და ორი აბაზი. ეს ფულები შემოსულა შემდეგ პირთაგან:

1)	მ. ილარიონ წიქრიძისაგან.	— 1	მან.
2)	მ. გიორგი ფოცხვერაშვილისაგან	1	„
3)	მ. რომანოზ ვარდოსანიძისაგან —	1	„
4)	მ. დიმიტრი ჩარკვიანისაგან	— 1	„
5)	მ. იაკობ ხოდავასაგან—	— 1	„
8)	მ. იოსებ კარგარეთელისაგან	— 1	„
9)	მ. დავით საცერაძისაგან	— 1	„
10)	მ. არისტოლე კიკვაძისაგან	— 1	„
11)	მ. გიორგი მაჩიტაძისაგან	— 1	„
12)	მ. ამბაკო თავაძისაგან —	— 1	„
13)	მ. ილარიონ გორგოძისაგან	— 1	„
14)	მ. ალექსი ცხვადაძისაგან	— 1	„
15)	მ. იუსტინ ბარბაქაძისაგან	— —	20 კ.
16)	მ. სიმონ ჯულელისაგან	— 1	„
18)	მ. მიხეილ მჭედლიისაგან	— 1	„
19)	მ. გიორგი ლუტიძისაგან.	— 1	„
20)	მ. მოსე კიკნაველიძისაგან	— 1	„
	პრიჩეტნიკებისაგან:		
21)	იოსებ ჩიხლაძისაგან —	— —	20 კ.
22)	ექვთიმე ყვანიასაგან —	— —	50 კ.
23)	იპოლიტე გგელესიანისაგან —	— —	50 კ.
24)	ბესარიონ კარანაძისაგან—	— —	20 კ.
25)	ილარიონ ყორეულიანისაგან	— —	20 კ.
26)	მიხეილ ზაქარეიშვილისაგან	— —	20 კ.
26)	მოსე გიორგაძისაგან —	— —	10 კ.
	სულ	18 მ.	40 კ.

განცხადება.

მიიღება ხელის მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს

„მწყემსზედ“

და „მწყემსი“-ს რუსულ თვიურ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1 შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოსციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2 გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში საეკკლესიო და საზოგადოებრივი სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3 გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4 აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

რუსული დამატება „მწყემსი“-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

„მწყემსი“-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**

ნახევარი წლის —**სამი მანეთი.**

„მწყემსი“-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ“.** ყვირილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

შინაარსი: არა ოფიც. ნაწილი: ყვირილა 15 აპრილს.—როგორ ჯობს?—ორიოდე სიტყვა საეკკლესიო-სამრევლო სკოლებზე.—შენიშვნა.—საისტორიო მასალა, მცხეთის სობორო.—ანტონ კათოლიკოზი და მისი დრო (გაგრძელება.)—წერილები ზირაყიდამ.—არის ადგილი ლექსი.—ჟურნალ გაზეთთაგან.—მატიანე.—რითი სცხოვრებს ხალხი, მოთხრობა (გრაფ ტოლსტოისა).—განცხადებანი.

Доз. цензурою Кутаисъ, 15 Апрьля 1885 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатная Зедгинидзе и Перадзе въ Кутисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.